www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საფოსტო და საკურიერო საქმიანობის საწარმოთა გამოკვლევის შედეგები

2021 წელი

28.10.2022
www.geostat.ge

28.10.2022

საფოსტო და საკურიერო საქმიანობის საწარმოთა გამოკვლევის შედეგები

(2021 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2021 წელს საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების[1] შემოსავლებმა 131.5 მლნ. ლარი შეადგინა. აქედან, საერთაშორისო საფოსტო-საკურიერო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი 73.3 პროცენტს შეადგენს, ხოლო 26.7 პროცენტი ადგილობრივი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებია.

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების 65.3 პროცენტი ამანათების მიწოდებიდანაა მიღებული, რომლის 78.7 პროცენტი მოდის საერთაშორისო გზავნილებზე, ხოლო 21.3 პროცენტი - ადგილობრივ გზავნილებზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ამანათების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა:

დიაგრამა №1

ამანათების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა, 2021 წელს



[1] სახლში საკვების მიწოდების მომსახურების გარეშე (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი (სეკ 006-2016))

28.10.2022

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების 20.1 პროცენტი წერილობით კორესპოდენციებზე მოდის, რომლის 63.0 პროცენტი საერთაშორისო, ხოლო 37.0 პროცენტი - ადგილობრივი გზავნილებია.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს წერილობითი კორესპონდეციების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურას:

დიაგრამა №2

წერილობითი კორესპონდეციების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა, 2021 წელს



საფოსტო და საკურიერო მომსახურებით დაკავებული საწარმოების მიერ 2021 წლის განმავლობაში გაგზავნილია 5 475.5 ათასი წერილობითი კორესპონდენცია და 4 935.3 ათასი ამანათი.

2021 წელს საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 4.0 ათას კაცს შეადგენდა, მათ შორის 1 197 კურიერი, ფოსტალიონი და ფელდეგერია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

ალექსანდრე არაბული ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: aarabuli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge